

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში

დოკუმენტის ვერსია: საბოლოო
პროექტის ნომერი: LCIP-CW-02
თარიღი: ივნისი, 2020

სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან
დაკავშირებული ზემოქმედების კომპლექსური შემოწმების
ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში სესხის ამღების
დოკუმენტს წარმოადგენს. მასში გამოხატული შეხედულებები ყოველთვის არ ასახავს აგბ-ს
დირექტორთა საბჭოს, მენეჯმენტის ან თანამშრომლების შეხედულებებს, და შესაძლოა
თავის ხასიათით წინასწარი იყოს.

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
ზპ	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
DDR	კომპლექსური შემოწმების ანგარიში
EA	განმახორციელებელი ორგანიზაცია
GRC	საჩივრების განმხილველი კომისია
IEE	საწყისი გარემოსდაცვითი კვლევა
IUAP	ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმები
LAR	მიწის შესყიდვა და განსახლება
LARF	მიწის შესყიდვის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი
LCIP პროგრამა	ქალაქებში საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელი საინვესტიციო პროგრამა
სმგფ	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	მრავალტრანშიანი საფინანსო პროგრამა
SDDR	სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
SPS	უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი
SPS 2009	უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი 2009

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

A. შესავალი

1. საფუძველი

1. 2016 წლის ნოემბრის თვიდან, აზიის განვითარების ბანკი (ADB) საქართველოს მთავრობას ურბანული განვითარებისადმი ინტეგრირებული და მონაწილეობრივი მიდგომის კურსის გაყოლაში უწყობს ხელს, რაც განხორციელებადია შერჩეული ურბანული არეალების კლასტერების სტრატეგიული დაგეგმვის გაუმჯობესების მეშვეობით, რათა ინტეგრირებული ურბანული სამოქმედო გეგმების (IUAP) მომზადებით მიღწეულ იქნას უფრო გაწონასწორებული რეგიონული განვითარება. ზემოთ მოყვანილის საფუძველზე, მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა საკვანძო ურბანულ ინვესტიციებს, რათა ADB-ს ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების მეშვეობით წინ წაეწია ისინი. ეს მოიცავს ინტეგრირებულ გადაწყვეტებს, რომლსაც მოქალაქეებისათვის თანა-სარგებელი მოაქვს ურბანული კლასტერების განვითარების კუთხით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, სანიტარული პირობების გაუმჯობესების (ქსელის გარეთა გადაწყვეტების ჩათვლით), ურბანული ტრანსპორტის და გადაადგილების (საზოგადოებრივი და არა მოტორიზებული ტრანსპორტის ჩათვლით), მყარი ნარჩენების მართვის, ეკონომიკური დერეფნების, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის კონსერვაციის, წყალდიდობების კონტროლისა და სადრენაჟე სისტემების, ურბანული უსაფრთხოების და ადაპტაციის უნარის ჩათვლით.
2. დაბალანსებული რეგიონული განვითარების დასაჩქარებლად, პრიორიტეტი მიენიჭა ძირითადი ურბანული სამსახურების და ტრანსპორტის მხარდაჭერას, განსაკუთრებით კი იმ მცირე ქალაქებსა და რეგიონების დედაქალაქებში, რომლებიც, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითადი მასტიმულირებლები, ტურიზმის, აგრობიზნესისა და რეგიონული ვაჭრობის პოტენციურ ჰაბებს წარმოადგენენ. მმართველობა და უნარიანობის გამომუშავება ინტეგრირებული უნდა იქნას მომავალ პროექტებში, რათა მიღწეულ იქნას უფრო მყარი შედეგები და მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტების საექსპლუატაციო და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.
3. მთავრობის წინადადებით, საქართველოს მასშტაბით ურბანული და ტურისტული ინფრასტრუქტურის და სამსახურების გასაუმჯობესებლად, უნდა დამუშავდეს 'ქალაქებში საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელი საინვესტიციო პროგრამა' (LCIP). ქვემოთ მოყვანილი ურთიერთკავშირში მყოფი შედეგების მეშვეობით, LCIP ხელს შეუწყობს ურბანული არეალების კლასტერების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას: (i) ურბანული ინფრასტრუქტურის და სამსახურების გაუმჯობესებული კომპეტენტურობა და ეფექტურობა, (ii) რეგიონული ტურიზმის კლასტერების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, კავშირი და მიმზიდველობა, (iii) გაუმჯობესებული ინსტიტუციური შესაძლებლობა ურბანული ინფრასტრუქტურის და სამსახურების მართვისა და განხორციელების კუთხით, (iv) ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებული გარემო; ახალი სათამაშო მოედნები ბავშვების მოტორიკის გასაუმჯობესებლად, უსაფრთხო შენობა - სახანძრო სიგნალიზაციის და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით, სუფთა და თანამედროვე სანიტარული ინფრასტრუქტურა, სველი წერტილებისა და სამზარეულოს ჩათვლით; (v) საბავშვო ბაღის შენობის გაუმჯობესებული გეგმარება: მეტი სივრცე ერთ

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

- სულ ბავშვზე და ერთ სულ აღმზრდელზე; საბავშვო ბაღის ენერგოეფექტური შენობა; (vi) გაუმჯობესებული საგანმანათლებლო და სამუშაო პირობები ბავშვებისა და აღმზრდელებისათვის; (vii) ინკლუზიური, ბავშვზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა; (viii) სოციალური ზემოქმედება – მოსახლეობის გაზრდილი შემოსავალი განხორციელების პროცესში (მუშახელის დასაქმება) და მშენებლობის დასრულების შემდეგ;
4. სპორტკომპლექსის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებისა და დანერგვისათვის, რაც შეამცირებს ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებას. ახალი სპორტკომპლექსები ხელს შეუწყობს ათლეტების წარმატებულ კარიერას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რადგან თემების წარმომადგენლები ხშირად აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორცაა წყალბურთი, სინქრონული ცურვა და ა.შ.
 5. ქუთაისის საცურაო აუზის მშენებლობა ქალაქში საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებელი საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს. საპროექტო არეალი ქუთაისის დასავლეთ ნაწილში აბაშიძის ქუჩაზე მდებარეობს (საკადასტრო კოდით 03.01.22.088).
 6. პროექტისათვის შერჩეული ტერიტორია ნაგებობებისაგან თავისუფალია, მიწის ნაკვეთი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მფლობელობაშია. მთლიანი მიწის ნაკვეთის ფართობი 40,000 მ². ახალი შენობისათვის განკუთვნილი ტერიტორია შეადგენს 13,015 მ². ახალი საცურაო აუზის მშენებლობისათვის გამოყოფილი ფართობი - 5,043.1 პროექტი ითვალისწინებს საცურაო აუზის მოწყობას ქუთაისში. საცურაო აუზის სიგრძეა 50 მ, იგი მოიცავს 500 სკამს აუდიტორიისათვის და მინი-აუზს ბავშვებისათვის. საცურაო აუზის პროექტი ასევე ითვალისწინებს სასაწყობე ოთახებს, ოთახებს ადმინისტრაციის, თანამშრომლების და მწვრთნელებისათვის, საუნას, შხაპისა და სპორტდარბაზის სივრცეებს. შენობის მთლიანი ფართობი 5,326.9 მ². პროექტის ფარგლებში, გამოყოფილ 13,015მ² ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა ისეთი ინფრასტრუქტურული საშუალებები, როგორცაა პარკინგი, ეზო, სატუმბი, წყლის რეზერვუარი.

2. სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიშის (SDDR) მასშტაბი და მიზნები

7. SDDR-ის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (2009) მოთხოვნებთან მიმართებაში გააანალიზოს ქუთაისის საცურაო აუზისათვის შემოთავაზებული სამშენებლო საქმიანობები და განახორციელოს სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსურ შემოწმებასთან და მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან კავშირში მყოფი ზემოქმედების ადრეულ სტადიაზე გამოვლენასთან დაკავშირებული სათანადო შეფასება.
8. SDDR აღწერს შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში განხორციელებულ სკრინინგის ღონისძიებებს, რაც მიზნად ისახავს პროექტის ზემოქმედების მასშტაბის განსაზღვრას, პოტენციური სოციალური და/ან ეკონომიკური ზემოქმედების არსებობის და/ან არარსებობის იდენტიფიცირებას და შესაბამისი შემამსუბუქებელი

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

ზომების და პროექტით დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობების
განსაზღვრას დაგეგმვის, განსახორციელებლის და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

B. სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების პროცესი და დასკვნები

კომპლექსური შემოწმებისათვის მიღებული მეთოდოლოგია

9. სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების მიზანს წარმოადგენს: (i) შემოთავაზებული პროექტის მასშტაბის განსაზღვრა და საპროექტო საქმიანობების რისკების შეფასება სოციალური უსაფრთხოების კუთხით; (ii) ყველა შესაძლო ალტერნატივის შეფასება მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან (LAR) დაკავშირებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, თუ იდენტიფიცირებული იქნა განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედება; (iii) იმ შემთხვევაში თუ LAR-თან დაკავშირებული ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, შემამსუბუქებელი ზომების შეთავაზება LAR-თან დაკავშირებული პრობლემების შესამსუბუქებლად ან მინიმუმამდე დასაყვანად; (iv) იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული არ იქნა განსახლების კუთხით ზემოქმედება, LAR-თან დაკავშირებული ზემოქმედების არარსებობის დადასტურება შესაბამისი დამხმარე დოკუმენტაციის მეშვეობით; და (iv) რეკომენდაციების შემუშავება განმახორციელებელი ორგანიზაციისა და პროექტის განხორციელებაში პარტნიორი უწყებებისათვის, რათა პროექტს, მისი განხორციელების მსვლელობაში, დახმარება გაეწიოს LAR-ის რისკების ადეკვატურად მართვაში, ADB SPS 2009-ის შესაბამისად.
10. ვირუსის (COVID 19) გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოს მასშტაბით არსებული გარემოებების გამო, რაც გულისხმობს იძულებით სოციალურ დისტანცირებას, SDD-ის მომზადების სტადიაზე ადგილზე გასვლები შეუძლებელი იყო. შესაბამისად, DDR-ის მიზნებისათვის, გუნდმა საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად ონლაინ კონსულტაციები ჩაატარა ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და განახორციელა საოფისე კვლევა. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები გავიდნენ ობიექტზე, მოახდინეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოგადაღება, რაც ასევე წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციის სახით. კერძოდ, კონსულტანტების გუნდმა გააანალიზა პროექტის მხარდამჭერი დოკუმენტაცია, შესაბამისი სამართლებრივი და ტექნიკური სტანდარტები, და ონლაინ შეხვედრები ჩაატარა მიღებული დოკუმენტაციის გარდა არსებული ინფორმაციის მფლობელ პირებთან, რაც საჭირო იყო სიტუაციის რეალისტური ანალიზისა და დოკუმენტის პროექტის შესადგენად. კომპლექსური შემოწმების განსახორციელებლად და დასასრულებლად გამოსაყენებელი მეთოდოლოგია მოიცავდა მეთოდებისა და მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტების კომბინაციას. კერძოდ კი, DDR მომზადდა ქვემოთ მოყვანილის შედეგების საფუძველზე: (ა) პროექტის დამხმარე დოკუმენტაციის და საჯაროდ

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

ხელმისაწვდომი ინფორმაციის განხილვა; (ბ) ონლაინ შეხვედრები ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, კონსულტანტებთან, საპროექტო ორგანიზაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; (გ) ტექნიკური სტანდარტების და ნორმების ანალიზი; (დ) სხვა პროექტებისათვის გამოყენებული საჩივრების განხილვის მექანიზმების ანალიზი, სხვადასხვა გამოყენებული მიდგომების და ინსტიტუციური სტრუქტურების ეფექტურობის შესაფასებლად.

C. სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ძირითადი დასკვნები

საპროექტო სამუშაოების მოცულობა

11. პროექტი ითვალისწინებს საცურაო აუზის მშენებლობას ქალაქ ქუთაისში. ქუთაისი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს და საავტომობილო გზით 330 კმ არის დაშორებული თბილისიდან. მანძილი ფოთის საზღვაო პორტამდე - 58 კმ-ია. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქის გარეუბანში აბაშიძის ქუჩაზე.
12. მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ერთი მხრიდანაა (საკადასტრო კოდია 03.01.22.088). ტერიტორიის მთლიანი ფართობი 40, 000 მ². ტერიტორია სწორ რელიეფზე მდებარეობს, დონეებს შორის მაქსიმალური სხვაობა 1 მეტრს არ აღემატება, მის ირგვლივ კერძო დასახლების სექტორია. ნაგებობა უნდა აშენდეს შესასვლელის მარჯვენა მხარეს, 13,015 მ² ტერიტორიაზე, რაც შეთანხმებულია ადგილობრივ მმართველობასთან (იხ. დანართი 1). მშენებარე საცურაო აუზის შენობის ფართი შეადგენს 5,043.1 მ².
13. პროექტი ითვალისწინებს სრული საცურაო აუზის მოწყობას, შემდეგი პარამეტრებით: 50მ X25მ, საბავშვო აუზის მოწყობას, პარამეტრებით - 16მ X10 მ, 500 სკამის მონტაჟს აუდიტორიისათვის, პროექტი ასევე ითვალისწინებს სასაწყობო ოთახებს, ოთახებს ადმინისტრაციის, თანამშრომლების და მწვრთნელებისათვის, საუნას, შხაპისა და სპორტდარბაზის სივრცეებს. შენობის მთლიანი ფართობი 5,326.9 მ². პროექტის ფარგლებში, გამოყოფილ 13,015მ² ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა ისეთი ინფრასტრუქტურული საშუალებები, როგორიცაა პარკინგი, ეზო, სატუმბი, წყლის რეზერვუარი. პროექტი ასევე უზრუნველყოფს ყველანაირ საჭირო დამხმარე სათავსებს, სივრცეებს და ტექნიკურ აივანს, რაც აუცილებელია კომპლექსის ფუნქციონირებისათვის.
14. მშენებლობის პერიოდში ობიექტი შემოღობილი იქნება დროებითი ღობით, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ მის ირგვლივ მოეწყობა მუდმივი, 2 მ. სიმაღლის მეტალის ღობე. პროექტი არ ითვალისწინებს კომუნიკაციების გადატანას და/ან მისასვლელი გზის რეაბილიტაციას.
15. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ქუთაისში ერთი კერძო აუზი ფუნქციონირებს, იგი ვერ პასუხობს საჭირო ტექნიკურ მოთხოვნებს და მოსახლეობის ფართო მასების მიერ ვერ გამოიყენება. შესაბამისად, ქუთაისის მთელი მოსახლეობა სარგებელს მიიღებს ახალი საცურაო აუზის პროექტისაგან, განსაკუთრებით კი იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ იგი საბიუჯეტო ორგანიზაცია იქნება და შესაძლოა გახდეს მუნიციპალური პროგრამის ნაწილი, რითაც უფო ხელმისაწვდომი გახდება ახალგაზრდებისათვის.

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

16. რაც შეეხება პოტენციური ბენეფიციარების რაოდენობას, ეროვნული სტატისტიკის სამსახურის 2020 წლის მონაცემების მიხედვით, ქუთაისში ცხოვრობს 135.2 ათასი ადამიანი, მათგან 46% მამაკაცია, ხოლო 54% -ქალი. მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 2103 სულს კვადრატულ კილომეტრზე, რაც გაცილებით აღემატება საშუალო ეროვნულ მაჩვენებელს. მოსახლეობის საშუალო ასაკია 38.8 წელი. ქუთაისის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა ქვემოთ არის მოყვანილი: 23% - 14 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდები; 21% - 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა; 56% - შრომისუნარიანი მოსახლეობა. ურბანული მოსახლეობის წილი 100%-ს შეადგენს.
17. სამწუხაროდ, 1989 წელთან შედარებით, მიგრაციის შედეგად ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა. 2014 წლის მონაცემით, ქუთაისიდან მიგრაცია განიცადა 52,414 ადამიანმა. ქალაქიდან და რეგიონიდან ჯერ კიდევ გრძელდება ადამიანური რესურსების გადინება. ახალი მშენებლობები, მაგალითად როგორიცაა ამ პროექტით გათვალისწინებული ნაგებობა ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის საცხოვრებელ ადგილზე დასამაგრებლად, რადგანაც როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თემების წარმომადგენლები ხშირად აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორიცაა წყალბურთი, სინქრონული ცურვა და ა.შ..

მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედება

18. მიწის შესყიდვა და/ან განსახლება პროექტით გათვალისწინებული არ არის. საცურაო აუზისათვის განსაზღვრული 40,000 მ² მიწის ნაკვეთი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი დანართში 1 არის მოცემული. მიწის ნაკვეთი არ იმყოფება ფორმალურ ან არაფორმალურ სარგებლობაში (მაგ. სამოვრად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულად და ა.შ.). შესაბამისი ფოტომასალა და ადგილმდებარეობის სქემა გთხოვთ იხილოთ ქვემოთ მოყვანილ 1 და 2 გამოსახულებებზე.

გამოსახულება 1: საპროექტო ტერიტორიის სქემა

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურო აუზის პროექტის ფარგლებში



გამოსახულება 2 საპროექტო ტერიტორიის ფოტოები



სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში



პროექტის კატეგორია

19. კომპლექსური შემოწმების დასკვნების საფუძველზე, ADB-ის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის და სამოქმედო სახელმძღვანელოს F1 შესაბამისად, არანებაყოფლობითი განსახლების უსაფრთხოების ზომების თვალსაზრისით, პროექტს სავარაუდოდ “C” კატეგორია მიენიჭება

პროექტის ზემოქმედება და შედეგი

20. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილ საქმიანობებს/სამშენებლო სამუშაოებს არანაირი ზემოქმედება არ ექნება ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, პროექტის დაგეგმვის/განხორციელების სტადიაზე გამოყენებული იქნება მიღებული საუკეთესო პრაქტიკა. ამ მიზნებისათვის, სამშენებლო კომპანია განახორციელებს შესაბამის შემამსუბუქებელ ზომებს.
21. სავარაუდოდ პროექტს გრძელვადიანი დადებითი ზემოქმედება ექნება ქუთაისის მოსახლეობაზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებზე, რადგანაც როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, თემების წარმომადგენლები ხშირად აღწევენ მნიშვნელოვან წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე სპორტის სხვადასხვა სახეობებში, როგორიცაა წყალბურთი, სინქრონული ცურვა და ა.შ..

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

სამშენებლო სამუშაოების პროცესში საჭირო პროფილაქტიკური და შემამსუბუქებელი ზომები

22. სამშენებლო და საზედამხედველო კომპანია შეიმუშავებს უსაფრთხოების ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მუშახელისა და გამვლელების უსაფრთხოების დაცვა. სამშენებლო და საზედამხედველო კომპანიის HSE (ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის) სპეციალისტი მუდმივად უზრუნველყოფს ყველა სადემონტაჟო და სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობას.
23. ნარჩენების განთავსების ადგილებთან და სამშენებლო ბანაკებთან დაკავშირებული ზემოქმედების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ და არა კერძო ტერიტორიაზე. ამ მიზნებისათვის საჭირო არ გახდა კერძო მფლობელობაში არსებული მიწის გამოყენება. ნაგვის გატანისა და ნარჩენების განკარგვის საკითხები იმართება და რეგულირდება IEE დოკუმენტის შესაბამისად.
24. მშენებლობის პროცესში, ისეთი დროებითი ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა საარსებო წყაროსთან მისასვლელის დროებითი დაკარგვა ან სხვა, გატარებული იქნება ყველა საჭირო ზომა.

D. საზოგადოებასთან კონსულტაციები და ინფორმაციის გასაჯაროება


25. როგორც ამას ადასტურებს სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების დასკვნები, პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი არ არის LAR-თან დაკავშირებული ზემოქმედებები, შესაბამისად მოცემული პროექტისათვის არ გვყავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები. ძირითად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ ქვეპროექტის ახლოს მობინადრე ადგილობრივი მაცხოვრებლები და ქუთაისის ადგილობრივი მმართველობა. ყველა ზემოხსენებულ დაინტერესებულ მხარესთან შედგა კომუნიკაცია დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით (პერსონალური კომპიუტერის და მობილური ტელეფონის საშუალებით).
26. პირველი კონსულტაცია 2020 წლის 3 ივნისს ტექნიკურ და უსაფრთხოების გუნდთან ჩატარდა. შედგა შეხვედრა ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. COVID 19-ის ეპიდემიისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, საზოგადოებასთან შეხვედრა სოციალური ქსელის (ვაიბერის) მეშვეობით განხორციელდა. შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის ინფორმირება ქვე-პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების და ზემოხსენებულის თავიდან აცილების გზების და საშუალებების თაობაზე. დამსწრეები უზრუნველყოფილნი იყვნენ სმფგ-ს და ადგილობრივი მმართველობის მიერ განსაზღვრული საკონტაქტო პირების საკონტაქტო ინფორმაციით, იმ შემთხვევისათვის თუ პროექტთან ან GRM-თან დაკავშირებით გაჩნდება რაიმე სახის დამატებითი დეტალური ინფორმაციის საჭიროება: ბ-ნი ირაკლი ჯაფარიძე, საკომუნიკაციო კონსულტანტი (სმფგ) 593 16 55 77 და ქუთაისის

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურო აუზის პროექტის ფარგლებში

მერიის სამსახური: 595250309 ან (0431) 24 26 51. საკონსულტაციო პროცესთან
დაკავშირებული დამატებითი დეტალებისათვის იხ. დანართი 2.

27. შეხვედრის დაწყებამდე, მერიის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა
შეხვედრის თაობაზე ინფორმირებული იყო განცხადებების მეშვეობით, რომლებიც
ქუთაისის მუნიციპალიტეტის შენობაში და საჯარო თავშეყრის ადგილებში
განთავსდა (მაგ. ავტობუსის გაჩერებებზე, აფთიაქებში, მაღაზიებში) (იხ. დანართი 3).
ძირითადი დაინტერესებული მხარეები (პროექტის მიმდებარე ტერიტორიაზე
არსებული უძრავი ქონების მფლობელები და მოზინადრეები) კონსულტანტის
(ირაკლი ჯაფარიძის) მიერ პერსონალურად, ტელეფონის მეშვეობით იყვნენ
ინფორმირებულნი დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ.

გამოსახულება 3 ონლაინ საჯარო კონსულტაციის ფოტომასალა



სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

E. კონსულტაციის და მონაწილეობის გეგმა

27. მსოფლიოში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე (COVID 19), მოხდა მოსახლეობის დისტანცირება ერთმანეთისგან და შესაბამისად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს საჯარო განხილვები შეიძლება წარმოადგენდეს ვირუსის გავრცელების წყაროს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საჭიროა მოინახოს კომუნიკაციების ალტერნატიული წყაროები, რათა ერთის მხრივ არ დაირღვეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მთავრობის რეკომენდაციები, ხოლო მეორეს მხრივ ყველა დაინტერესებულ პირთან ჩატარდეს საჯარო პირდაპირი კონსულტაციები, რათა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები და მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვა ადგილობრივი მოსახლეობა სრულყოფილად და საფუძვლიანად იქნეს ინფორმირებული მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ამ პროექტებთან დაკავშირებული სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების თაობაზე. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით მათ მიეცემათ საშუალება არა მხოლოდ მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებით, არამედ უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა განხილვებში, დასვან კითხვები და იყენონ ჩართულობის მიმდინარე პროცესებში. ვინაიდან საქართველოში ინტერნეტის ქსელი ზოგადად განვითარებული და ხელმისაწვდომია მრავალი დასახლებული პუნქტისათვის, ადამიანებს აქვთ წვდომა არაერთ სოციალურ ქსელთან და წარმატებით იყენებენ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. შესაბამისად შესაძლებელია საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების დისტანციურად ჩატარება არსებული ინტერნეტ სოციალური ქსელებისა და სხვადასხვა საკომუნიკაციო აპლიკაციების გამოყენებით. ეს დამოკიდებული იქნება ასევე იმაზე თუ რომელი ქსელს და ინტერნეტ აპლიკაციას იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა. ტრადიციული შეხვედრები მოსახლეობასთან პირისპირ ჩატარდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, COVID-19-თან დაკავშირებული მდგომარეობის და რეგულაციების ნორმალიზების შემთხვევაში.
28. წარმოდგენილი სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიშის (SDDR) ატვირთვა მოხდება სმგვ-ს და აზიის განვითარების ბანკის (აგბ) ვებ-გვერდებზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის მონაწილე ყველა მხარისთვის, დამტკიცების შემდეგ.

F. საჩივრების მოგვარების მექანიზმი

29. საჩივრების მოგვარების მექანიზმი - სმგვ-ს მიერ განხორციელებულ პროექტებში, საჩივრების მოგვარების მექანიზმი წარმოადგენს ორ-ეტაპიან პროცესს. პირველი ეტაპით გათვალისწინებულია ადგილობრივად ხელმისაწვდომი ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა პრობლემის განხილვა კონტრაქტორთან, ასევე ზედამხედველი კონსულტანტის/კონტრაქტორის შეხვედრა საპროექტო ტერიტორიაზე და/ან წერილობითი მიმართვა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიმართ, საჩივრების ადგილზე მოსაგვარებლად. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია საჩივრების განხილვა და მოგვარება მგვ-ში ჩამოყალიბებული საჩივრების

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

მოგვარების კომისიის მიერ. როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი საჩივრები დოკუმენტურად უნდა აისახოს ოფიციალურ ჟურნალში. პროექტის მონაწილე მხარეებს საჩივრების მოგვარების მექანიზმის შესახებ ეცნობათ ქუთაისის მუნიციპალიტეტის შენობაში და საჯარო ადგილებში (მაგ. ავტობუსის გაჩერებები, აფთიაქები, მაღაზიები) გავრცელებული ინფორმაციის სახით. აღნიშნული განცხადებების საშუალებით მათ მიეწოდათ საჩივრების ფორმა (იხ. დანართი 3) და სმგფ-ს და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნული საკონტაქტო პირების საკონტაქტო ინფორმაცია, საჩივრების მოგვარების მექანიზმის შესახებ დამატებითი დეტალური ინფორმაციის მიღების სურვილის შემთხვევაში: ბ-ნი ირაკლი ჯაფარიძე, კომუნიკაციების კონსულტანტი (მგფ) 593 16 55 77 და ქუთაისის მერის ოფისი: 595250309 ან (0431) 24 26 51.

30. ონლაინ კონსულტაციების დროს, მონაწილეებს ასევე ეცნობათ საჩივრების მოგვარების მექანიზმის პროცედურების შესახებ და მიეწოდათ საჩივრის ფორმა.
31. **საჩივრების მოგვარების პროცესი** - I ეტაპის საჩივრების მოგვარების პროცედურები დავის მოგვარების არაოფიციალურ საშუალებას წარმოადგენს, რაც შესაძლებლობას აძლევს მომჩივანს და პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს, რომ მოაგვარონ უთანხმოება ყოველგვარი ოფიციალური პროცედურების, დროში გაჭიანურების და შეფერხებების გარეშე. განსახლების საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ საჩივრების მოგვარების მსგავსი არაოფიციალური მექანიზმი ხელს უწყობს საჩივრების უმრავლესობის მოგვარებას, ოფიციალური პროცედურების (ე.ი. ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული პროცედურების, ან სასამართლო დავების) გარეშე. აღნიშნული მექანიზმი პროექტის შეუფერხებელი განხორციელების და საჩივრების დროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას უზრუნველყოფს - აღნიშნული პროცედურისთვის განსაზღვრულია 10 სამუშაო დღე. საჩივრების მოგვარების მექანიზმის პირველი ეტაპი მოქმედებს და ფუნქციონირებს. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მომჩივანის დაკმაყოფილება, საჩივრების მოგვარების მექანიზმი დაეხმარება მომჩივანს ოფიციალური საჩივრის წარდგენაში, მე-2 ეტაპით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად (მომჩივანს უნდა ეცნობოს მისი უფლებების და მოვალეობების, საჩივრის წარმოდგენილის წესების და პროცედურების, საჩივრის ფორმატის, საჩივრის წარმოდგენის პირობების და სხვ. საკითხების შესახებ) (იხ. დანართი 4). მე-2 ეტაპი - მომჩივანის საჩივრის განხილვა. სმგფ-ში უკვე შექმნილია საჩივრების მოგვარების კომისია, რომელიც იმოქმედებს პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში. აღნიშნული კომისია განიხილავს მომჩივნების წერილობით საჩივრებს, რომელთა დაკმაყოფილება არ მოხდა პირველ ეტაპზე. მე-2 ეტაპზე მოხდება მომჩივანის საჩივრის გადაწყვეტა. მე-2 ეტაპისთვის განსაზღვრულია მაქსიმუმ 5 თვე. საჩივრების მოგვარების აღნიშნული მექანიზმი არ ართმევს მომჩივანს უფლებას, რომ მიმართოს პირდაპირ სასამართლოს, საქმის აღძვრის მოთხოვნით. საჩივრების მოგვარების მექანიზმთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისთვის, მათ შორის თითოეული ეტაპისთვის განსაზღვრული დროის დასაზუსტებლად, იხ. დანართი 5.

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

G. ინსტიტუციური მექანიზმები

სმგფ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

32. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (პროექტის) განმახორციელებელ უწყებას წარმოადგენს. სმგფ პასუხისმგებელია სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების მართვაზე. სმგფ სრულად არის პასუხისმგებელი ტექნიკურ პროექტირებაზე, მშენებლობაზე, მშენებლობის მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე, ისევე როგორც შიდა საუწყებო კოორდინაციაზე. აგბ-ს დაფინანსებით მიმდინარე პროექტებისთვის დაქირავებული არიან და მუშაობენ სოციალური უსაფრთხოების/განსახლების სპეციალისტები და სოციალური საკითხების/გენდერის სპეციალისტი. პერსონალს გავლილი აქვს პროფესიული ტრენინგები ადგილზე. ცალკეული პროექტისთვის, ისევე როგორც მოცემული პროექტისთვის, სმგფ გამოყოფს საკუთარი პერსონალიდან თანამშრომელს, ორგანიზაციაზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში დახმარების გაწევის მიზნით.

გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

33. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოს დაცვით საკითხებზე.

იუსტიციის სამინისტრო

34. იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის მფლობელობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია საკუთრების რეგისტრაციაზე.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი

35. ქალაქ ქუთაისის მერია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც ხელმძღვანელობს მერი. ადგილობრივი მთავრობა პასუხისმგებელია მიწის ნაკვეთების დაკანონებასა და რეგისტრაციაზე. ის ასევე ადასტურებს საკუთრების უფლებას ადგილობრივ დონეზე.

სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი/მშენებლობის ზედამხედველი კონტრაქტორი

36. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი, რომელსაც დანიშნავს სმგფ მშენებლობის განსახორციელებლად, პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შერბილებაზე. სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგს განხორციელებს სმგფ, მშენებლობის ზედამხედველი კონტრაქტორის დახმარებით - დროებით შემარბილებელ ღონისძიებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და პროექტის განხორციელების პროცესში სრულად, გარემოს დაცვის სტანდარდებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

აზიის განვითარების ბანკი (აგბ)

37. აზიის განვითარების ბანკი (აგბ) აფინანსებს პროექტს და ეხმარება სმგფ-ს პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, ამტკიცებს სასესხო შეთანხმებით გათვალისწინებულ ყველა საჭირო დოკუმენტს.

H. მონიტორინგის და ანგარიშგების მოთხოვნები

31. სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი განახორციელებს მონიტორინგს და განსაზღვრავს მოცემული დოკუმენტით (სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში) განსაზღვრული მოთხოვნების და სამუშაოების განხორციელების მიმდინარეობას. მონიტორინგის მოცულობა თანაზომიერი იქნება პროექტთან დაკავშირებული რიკებისა და ზემოქმედებისა. კონტრაქტორები (სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი/მშენებლობის ზედამხედველი კონტრაქტორი) მოამზადებენ ყოველთვიური და კვარტალური მონიტორინგის ანგარიშებს, სადაც ასახული იქნება მოცემული დოკუმენტით (სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში) განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიმდინარეობა, შესაბამისობასთან და მაკორექტირებელ სამუშაოებთან ერთად. აღნიშნული ანგარიშებში მკაცრად იქნება დაცული აგბ-ს 2009 წ. უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნები.
38. „C“ კატეგორიის პროექტებისთვის ნახევარი წლის სოციალური ანგარიშის მომზადება საჭირო არ არის. გარემოს დაცვასთან შესაბამისობის მონიტორინგის ანგარიშები ჩვეულებრივ აისახება სმგფ-ს მიერ მომზადებული ნახევარი წლის გარემოსდაცვითი მონიტორინგის ანგარიშის ცალკეულ თავში, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ უსაფრთხოებასთან და რაც უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას :
- a. სოციალურ ინციდენტებთან დაკავშირებულ დეტალებს, ასეთი ინციდენტების არსებობის შემთხვევაში;
 - b. მოსახლეობის პრეტენზიებს და აქტიურ თემებთან ურთიერთობებს;
 - c. მაკორექტირებელი საქმიანობისთვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმას.
39. კონტრაქტორები (სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი/მშენებლობის ზედამხედველი კონტრაქტორი) ვალდებული არიან, რომ დაუყონებლივ აცნობონ სმგფ-ს, მშენებლობის პროცესში მომხდარი სერიოზული სოციალური ინციდენტის შესახებ, მსგავსი ინციდენტის შემთხვევაში.
40. აგბ-ს ვალდებულება პროექტთან მიმართებაში სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნების განხორციელების კუთხით მოიცავს: მოცემული დოკუმენტის (სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში) და კომპლექსური შემოწმების (due diligence) განხორციელების შემოწმებას პერიოდულად, მთლიანად პროექტის შესწავლის მიზნით განხორციელებული მისიის პროცესში; საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციის გაცემას - სმგფ-ს მიმართ, პროექტთან მიმართებაში აღნიშნული დოკუმენტის (სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში) მოთხოვნების განხორციელებისთვის

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურო აუზის პროექტის ფარგლებში

განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესში. სმგფს, როგორც
ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას.

41. გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სპეციალისტი, ასევე მონიტორინგის
რამდენიმე სპეციალისტი სმგფ-ს თანამშრომლებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა,
რომ სამუშაოების ხარისხის ყოველდღიურ კონტროლს განხორციელებს გარე
რესურსი - სამუშაოების ინჟინერი ზედამხედველი, სმგფ-ს ჰყავს შიდა რესურსები,
რათა უზრუნველყოს აღნიშნული ტექნიკური ზედამხედველის მიერ
განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა და მიიღოს გადაწყვეტილება იმ
საკითხების მოსაგვარებლად, რომელსაც ზედამხედველი წარუდგენს სმგფ-ს
განსახილველად.

I. მიწის შეძენის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი (LARF)

42. მიწის შეძენის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის (LARF) შემუშავება მოხდა
მთლიანად პროექტისთვის, ქალაქებში საცხოვრებელი პირობების
გასაუმჯობესებელი საინვესტიციო პროგრამის (LCIP) ფარგლებში, აგბ-ს პოლიტიკის
მოთხოვნების შესაბამისად. მიწის შეძენის და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი
განსაზღვრავს მოთხოვნებს მომავალი მიწის შეძენის და განსახლების
სკრინინგთან/დაგეგმვასთან/განხორციელებასთან დაკავშირებით, ყველა პროექტის
ქვე-პროექტებზე და მთლიანად სოციალურ უსაფრთხოებაზე რაიმე სახის
მოულოდნელი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში. სოციალური
უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიშის მონახაზი - ნიმუშის
სახით, ასევე მიწის შეძენის და განსახლების გეგმის (LARP) მომზადების მოთხოვნები
(ასეთი მოთხოვნების საჭიროების შემთხვევაში), წარმოდგენილია მიწის შეძენის და
განსახლების ჩარჩო დოკუმენტში (LARF).

J. დასკვნები და რეკომენდაციები

43. პროექტი განხორციელდება მუნიციპალიტეტის კუთვნილ საკუთრებაზე. შერჩეული
მიწის ნაკვეთი არ არის სარგებლობაში, ოფიციალურად, ან ოფიციალურად (მაგ.
სამოვარი, სასოფლო სამეურნეო მიწები, და ა.შ.). შემოთავაზებული პროექტის
სოციალური შეფასება დაფუძნებულია საბოლოო დეტალურ პროექტზე და პროექტის
ადგილმდებარეობის საზღვრები ადასტურებს მიწის შეძენაზე და/ან განსახლებაზე
ზემოქმედების არ არსებობას.
44. მშენებლობის პროცესში მოხდება ყველა საჭირო ზომების მიღება, ისეთი დროებითი
ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, როგორცაა მისასვლელის დაკარგვა, რაც
განაპირობებს ზემოქმედებას საარსებო საშუალებებზე, ან გამოიწვევს სხვა სახის,
ზემოთ აღნიშნულ აკრძალვებს. სმგფ და მშენებლობის ზედამხედველობის კომპანია
გაუწევენ მონიტორინგს განხორციელების ეტაპს, რათა უზრუნველყონ შესაბამისობა
როგორც აგბ-ს სოციალური დაცვის ზომებთან, ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან.
45. პროექტის განხორციელების პროცესში რაიმე გაუთვალისწინებელი ზემოქმედების, ან
დამატებითი შედეგების გამოვლენის შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს
სმგფ-ს და აგბ-ს და მისი მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს
კანონმდებლობის და აგბ-ს 2009 წ. უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

მოთხოვნების შესაბამისად, პროექტის მიწის შეძენის და განსახლების ჩარჩო
დოკუმენტით (LARF) განსაზღვრული დებულებების მიხედვით.

46. ინფორმაცია პროექტის, დაგეგმილი ონლაინ კონსულტაციის, ასევე საჩივრების
მოგვრების მექანიზმის შესახებ, გაავრცელა ქალაქ ქუთაისის მერიამ და სმგფ-მ.
ქუთაისის მერია და სმგფ-ს თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები დაგეგმვის
პროცესში. ვირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი
მდგომარეობის გამო, მოსახლეობაში მოხდა სოციალური დისტანცირების დადგენა
და რადგან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში პირისპირ
შეხვედრები მოსახლეობასთან შესაძლოა გამხდარიყო ვირუსის გავრცელების წყარო,
ონლაინ კონსულტაციები მოსახლეობასთან გაიმართა 2020 წ. 3 ივნისს.
47. პროექტის განხორციელების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობის პრეტენზიების
განხილვა ხდება პროექტის ფარგლებში დაარსებული საჩივრების მოგვარების
მექანიზმის საშუალებით და ეს ეხება როგორც სოციალურ, ასევე გარემოს დაცვით
ზომებს.

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი



მანქანის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N 03.01.22.088

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019615246 - 30/07/2019 12:06:08

მომზადების თარიღი
05/08/2019 10:25:22

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიში: საკუთრება
ქუთაისი	აგლომერაცია			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
03	01	22	088	დამზღვრული ფართობი: 40000.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი ქუთაისი, 35-ე საჯარო სკოლის				ნაკვეთის წინა ნომერი: 03.01.02.160;
დსაფლეთით მდებარე ტერიტორია				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882019615246, თარიღი 30/07/2019 12:06:08
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/08/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N2008, დამოწმების თარიღი: 30/07/2019, ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება N1/-754, დამოწმების თარიღი: 27/03/2019, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

მესაკუთრე:

სსიპ ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი: 212721170

მესაკუთრე:

სსიპ ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(2)

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურო აუზის პროექტის ფარგლებში

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

მიწის საკადასტრო კოდი – 03.01.22.088

მიწის დანიშნულება – არა-სასოფლო სამეურნეო

ზუსტი ფართობი – 40 000 კვ. მ.

მიწის ნაკვეთის ადრინდელი ნომერი – 03.01.02.160

მომზადების თარიღი – 05.08.2019

რეგისტრაციის N – 882019615246

მესაკუთრე – სსიპ ქუთაისის მუნიციპალიტეტი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საიდენტიფიკაციო ნომერი - 212721170

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

დანართი 2

პროექტის მხარეებთან გამართული ონლაინ შეხვედრის ოქმი

„ქუთაისში საცურაო აუზის მშენებლობის“ პროექტისთვის შემუშავებული გარემოს დაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის (პირველადი გარემოსდაცვითი კვლევა (IEE) და სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში (SDDR)) განხილვის მიზნით, საჯარო საკონსულტაციო შეხვედრა სოციალური ქსელის საშუალებით (კერძოდ, ფეისბუქით) გაიმართა 2020 წ. 3 ივნისს, 16:00 სთ-ზე. აღნიშნული შეხვედრის ონლაინ რეჟიმში განაპირობა COVID-19-ის გავრცელებამ და აღნიშნულ ვირუსთან დაკავშირებით ამოქმედებულმა შეზღუდვებმა. შეხვედრამდე, დაგეგმილი ონლაინ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია მერიის წარმომადგენლებს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს პირადად, ტელეფონის საშუალებით მიაწოდა კომუნიკაციების კონსულტანტმა - ირაკლი ჯაფარიძემ.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პროექტის ყველა მხარის ინფორმირება ქვე-პროექტთან დაკავშირებით დაგეგმილი საქმიანობის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების და მათი პრევენციის მიზნით შემუშავებული გზების და საშუალებების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეები:

ადგილობრივები: ანჟელიკა ორჯონიკიძე; ლალი სალდაძე; ავთანდილ გადაბაძე; რუსუდან თავდიაშვილი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: ნინო თვალთვაძე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

გარემოს დაცვის სპეციალისტი - ნინიკო ისაკაძე,

აზიის განვითარების ბანკის განსახლების კონსულტანტი - დავით არსენაშვილი

აზიის განვითარების ბანკის კომუნიკაციების კონსულტანტი – ირაკლი ჯაფარიძე

პროექტის მენეჯერი – ზურა ჩინჩალაძე

არქიტექტორი – თამარ გურასპაული

პროექტისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე არ არის შენობები, და (ტერიტორია) ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. აღნიშნული ტერიტორიის ფართი ჯამში შეადგენს 40,000 მ²-ს. ობიექტისთვის გამოყენებული იქნება 13,015 მ² ფართი, ხოლო ახალი საცურაო აუზის შენობის მშენებლობა დაიკავებს 5,043.1 მ²-ს. პროექტით გათვალისწინებულია საცურაო აუზის მოწყობა ქ. ქუთაისში. საცურაო აუზის სიგრძე იქნება 50 მ, ასევე გათვალისწინებულია მაყურებლისთვის 500 სკამის და ბავშვებისთვის მინი აუზის

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

მოწყობა. საცურაო აუზის პროექტით ასევე გათვალისწინებულია სათავსების, ადმინისტრაციის, პერსონალის და მწვრთნელების ოთახების, ასევე საუნას, საშხაპის და სავარჯიშო სივრცის მოწოდება. შენობის ფართი ჯამში შეადგენს 5,326.9 მ²-ს. პროექტით ასევე გათვალისწინებულია სხვა ობიექტების მოწყობაც - პარკინგი, ეზო, სატუმბი მოწყობილობა, წყლის რეზერვუარი - პროექტისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე - 13,015 მ²-ზე.

მიწის ნაკვეთს აქვს შესასვლელი ერთი მხრიდან (საკადასტრო კოდი: 03.01.22.088). ტერიტორიის ჯამური ფართი შეადგენს 40, 000 მ²-ს. ტერიტორია განთავსებულია სწორ რელიეფზე, და დონეების მაქსიმალური სხვაობა არ აღემატება 1მეტრს, ტერიტორიის გარშემო კერძო დასახლების სექტორია განთავსებული. შენობის მშენებლობა დაგეგმილია შესასვლელის მარჯვენა მხარეს - 13,015 მ²-ზე; აღნიშნული ტერიტორია შეთანხმებულია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან (იხ. დანართი 1). ახალი საცურაო აუზის შენობის სამშენებლო ფართი შეადგენს 5,043.1 მ²-ს.

პროექტით გათვალისწინებულია: მოცემული სიდიდის მთელი საცურაო აუზის მოწყობა: 50მ X25მ, ბავშვების აუზი ზომით: 16მX10 მ, ასევე 500 ადგილი მაყურებლისთვის, სათავსოები, ადმინისტრაციის, პერსონალის და მწვრთნელების ოთახები, ასევე საუნა, საშხაპე და სავარჯიშო სივრცე. შენობის ფართი ჯამში შეადგენს 5,326.9 მ²-ს. შენობის ფართი ჯამში - 13,015 მ². პროექტით ასევე გათვალისწინებულია სხვა ობიექტების მოწყობაც - პარკინგი, ეზო, სატუმბი მოწყობილობა, წყლის რეზერვუარი - პროექტისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე - 13,015 მ²-ზე. პროექტით განსაზღვრულია ასევე ყველა საჭირო და დამხმარე ოთახების, სივრცეების და ტექნიკური აივნის მოწყობა, რაც აუცილებელია კომპლექსის ოპერირებისთვის.

ობიექტის მშენებლობით ისარგებლებს ქუთაისის მთელი მოსახლეობა. ქუთაისში ამჟამად ფუნქციონირებს ერთ კერძო საცურაო აუზი, თუმცა ის არ აკმაყოფილებს ყველა საჭირო ტექნიკურ მოთხოვნას და შეუძლებელია მისი ფართო გამოყენება, მოსახლეობის მიერ. სწორედ ამიტომ, ახალი საცურაო აუზით ისარგებლებს ქუთაისის მთელი მოსახლეობა, რადგან საჯარო უწყების გამო, აღნიშნული შესაძლოა გახდეს მუნიციპალური პროგრამის ნაწილი, რაც მეტად ხელმისაწვდომი იქნება მოსახლეობისთვის და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.

კომუნიკაციების კონსულტანტმა ირაკლი ჯაფარიძემ გახსნა შეხვედრა, მოკლედ მოახსენა დამსწრეებს შეხვედრის მიზნის შესახებ და შემდეგ სიტყვა გადასცა პროექტის მენეჯერს ზურაბ ჩინჩალაძეს. პროექტის მენეჯერმა შეხვედრის დამსწრეებს გააცნო პროექტის შინაარსი, ასევე შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკა და დეტალურად განიხილა ქუთაისის საცურაო აუზის დანიშნულება. შემდეგ, სიტყვით გამოვიდა განსახლების კონსულტანტი დავით არსენაშვილი. ბ-მა არსენაშვილმა წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია ანგარიშის (კომპლექსური შემოწმების ანგარიში) მიხედვით გასატარებელი

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
 სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
 კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

ზომების შესახებ. დავით არსენაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული ანგარიშით გათვალისწინებულია უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა. ბ-მა არსენაშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ასევე ფოტოები, სადაც ასახული იყო სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი გზები, ასევე სამშენებლო მექანიზმების მოძრაობის ტრაექტორია მშენებლობის პროცესში. დავით არსენაშვილმა და ირაკლი ჯაფარიძემ შეხვედრის მონაწილეებს აცნობეს, რომ მშენებლობის დროს ობიექტზე მოხდება სპეციალური ღობის დამონტაჟება. დავით არსენაშვილმა ასევე განმარტა, თუ როგორ და რა ფორმატით იქნება შესაძლებელი საჩივრების მიღება და განხილვა ქუთაისის მერიის და მგფ-ს მიერ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა მგფ-ს გარემოს დაცვის სპეციალისტი ნინიკო ისაკაძე. ნინიკო ისაკაძემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტთან მიმართებაში შემუშავებული პირველადი გარემოსდაცვითი კვლევის (IEE) თაობაზე. მან მოკლედ განუმარტა საზოგადოებას აგბ-ს პროექტებთან მიმართებაში მოქმედი სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურების შესახებ და წარმოადგენილი პროექტის გარემოსდაცვითი მოთხოვნების თაობაზე. განხილულ იქნა ასევე შემარბილებელი ღონისძიებებიც, იმ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რამაც შესაძლოა იჩინოს თავი პროექტის განხორციელების პროცესში. ნ. ისაკაძემ ასევე აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების კოდექსის საქართველოს კანონის თანახმად, პროექტი არ საჭიროებს ნებართვას, ან შეთანხმებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. ნ. ისაკაძემ განიხილა პირველადი გარემოს დაცვით კვლევის (IEE) და სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში (SDDR) სტრუქტურა და შინაარსი და მოკლედ შეეხო მოსახლეობასთან ურთიერთობას და სამუშაოების მართვის ღონისძიებებს. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული დოკუმენტები (IEE/EMP) სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორთან გაფორმებული კონტრაქტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. კონტრაქტორი ვალდებულია, რომ დაიცვას სოციალური და ბუნებრივი გარემო, რაც მან უნდა უზრუნველყოს ხსენებული დოკუმენტებით (IEE/EMP) დადგენილი ზომების განხორციელებით.

პრეზენტაციის შემდეგ, აუდიტორიას მიეცა საკუთარი აზრების გამოხატვის და/ან კითხვა/პასუხის რეჟიმში მონაწილეობის შესაძლებლობა, წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით. მათ დასვეს ქვემოთ მითითებული შეკითხვები, ხოლო დავით არსენაშვილმა, ზურაბ ჩინჩალაძემ, ირაკლი ჯაფარიძემ, ნინიკო ისაკაძემ და თამარ გურასპაულმა პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.

შეკითხვა	პასუხი
რატომ შეგვხვდით და რა არის აღნიშნული შეხვედრის მიზანი?	შეხვედრა მიზნად ისახავს თქვენს დეტალურ ინფორმირებას კომპლექსური

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
 სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
 კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

	შემოწმების ანგარიშის (Due Diligence Report) თაობაზე, რაც მოიცავს ინფორმაციას უსაფრთხოების სხვადასხვა ღონისძიებების, მისასვლელი გზების არსებობის, საჩივრების მოგვარების მექანიზმის, პირველადი გარემოსდაცვითი კვლევის (IEE) თაობაზე, მათ შორის შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ იმ შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, რამაც შესაძლოა იჩინოს თავი პროექტის განხორციელების პროცესში.
რა ფართი უკავია მიწის ნაკვეთს, რომელზეც დაგეგმილია აღნიშნული პროექტის განხორციელება?	ქუთაისის საცურაო აუზი განთავსდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რისი ფართიც შეადგენს 40000 კვ. მ-ს.
რამდენ ხანში დასრულდება პროექტი მშენებლობის დაწყებიდან?	პროექტის დასრულებას დაჭირდება დაახლოებით 12-14 თვე.
როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, საცურაო აუზი განთავსებულია მთლიანი ფართის 1/3-ზე. რა არის დაგეგმილი დარჩენილ მიწის ნაკვეთზე?	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. ქუთაისის მერია მუშაობს განვითარების რეგულაციის გეგმაზე.
შესაძლებელია თუ არა ვიხილოთ საცურაო აუზის მდებარეობის ამსახველი ორთო-ფოტოები?	შეხვედრის დასრულების შემდეგ, მგფ-ს თანამშრომლები გამოგიგზავნიან თქვენ მიერ მოთხოვნილ დოკუმენტებს.




შეხვედრის ამსახველი ფოტოები



სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

დანართი 3

ინფორმაციის გავრცელება საჩივრების მოგვარების მექანიზმის და საჯარო კონსულტაციების
შესახებ



სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
 სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
 კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში


დანართი 4
საჩივრის ფორმა

#			
სახელი, გვარი			
საკონტაქტო ინფორმაცია გთხოვთ შეავსოთ - კომუნიკაციის რა საშუალებას ანიჭებთ უპირატესობას (ფოსტა, ტელეფონი, ელ. ფოსტა)	☐ ☐ ☐	ფოსტა: გთხოვთ მიუთითოთ თქვენი საფოსტო მისამართი: _____ _____ _____ ტელეფონი: _____ ელ. ფოსტა: _____	
კომუნიკაციის პროცესში რომელ ენას ანიჭებთ უპირატესობას	☐ ☐ ☐	ქართული ინგლისური რუსული	
საჩივრის/პრეტენზიის აღწერა:		რა მოხდა? რას ითხოვთ?	
მოლაპარაკების თარიღი:		რა გადაწყდა მოლაპარაკების შედეგად:	
რა არის თქვენი საჩივრის საფუძველი?			
ხელმოწერა: _____ თარიღი: _____			

სოციალური უსაფრთხოების ზომების კომპლექსური შემოწმების ანგარიში
 სოციალური, მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების
 კომპლექსური შემოწმების ანგარიში, ქუთაისის საცურაო აუზის პროექტის ფარგლებში

დანართი 5

საჩივრების პროცესის სქემა¹



¹ დღეები - სამუშაო დღეები.